განკარგულება:**g-47.472134112**
თარიღი:**07/12/2021**

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა N 6 4

მიღების თარიღი: 03.12.2021წ.

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების წევრთა რაოდენობისა და პროპორციული წარმომადგენლობის კვოტების განსაზღვრის შესახებ

საქართველოს ორგანულ კანონის „ადგილობრივ თვითმმართველობის კოდექსი“ 24–ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ.დ“ ქვეპუნქტის, 28–ე მუხლის მე–2 ნაწილის, 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო დროებითი კომისიის 2021 წლის 3 დეკემბრის №4 სხდომის ოქმის შესაბამისად, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

დაადგინა:

მუხლი 1. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო დროებითი კომისიის 2021 წლის 3 დეკემბრის №4 სხდომის ოქმის შესაბამისად:

1. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო შედგება 36 წევრისგან, აქედან: 26 წევრი (72 %) არის ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ წევრი, 6 წევრი (16 %) – ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრი, 3 წევრი (8 პროცენტი) ფრაქცია „ჩოხატაური საქართველოსთვის“ წევრი, ხოლო 1 წევრი არ არის გაწევრიანებული არც ერთ ფრაქციაში.

2. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების სრულფასოვნად ფუნქციონირების მიზნით განისაზღვროს თითოეული კომისიის შემადგენლობა მინიმუმ 11 წევრით.

3. განისაზღვროს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციების პროპორციული წარმომადგენლობის კვოტები თითოეულ კომისიაში შემდეგნაირად:

ა) ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“– 8 (რვა) კომისიის წევრი;

ბ) ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“– 2 (ორი) კომისიის წევრი;

გ) ფრაქცია „საქართველოსთვის“ – 1 (ერთი) კომისიის წევრი.

დ) 1 წევრი, რომელიც არც ერთ ფრაქციაში არ არის გაწევრიანებული, კომისიის წევრი გახდება პირადი განცხადების საფუძველზე.

მუხლი 2. ცნობად იქნეს მიღებული საკითხი, იმის შესახებ, რომ საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 28-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, ახალარჩეული მუნიციპალიტეტის საკრებულოს პირველ სხდომის შემდეგ, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების წევრთა რაოდენობასა და პროპორციული წარმომადგენლობის კვოტებს განსაზღვრავს საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისია და ამტკიცებს საკრებულოს ბიურო.

მუხლი 3. განკარგულების გასაჩივრება შეიძლება 1 თვის ვადაში ოზურგეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატ სასამართლოში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, მისამართზე: ჭავჭავაძის ქ. N4–ში.

მუხლი 4. განკარგულება ძალაშია 2021 წლის 3 დეკემბრიდან.

ირაკლი კუჭავა

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი